გამომცემი: ა(ა)იპ
„ქართული მედია ჯგუფი“,
კატო მიქელაძის
გაზეთის მიხედვით

ხმა ქართველი ქალისა

21 მაისი, 2023 წელი.
გაზეთი ვრცელდება
უფასოდ

№3 გაზეთი გამოდის თვეში ერთხელ

მედიის როლი უსაფრთხოებასა და მშვიდობის მშენებლობაში – „ქართული მედია ჯგუფის“ ხელმძღვანელმა საზოგადოებას გაზეთი, „ხმა ქართველი ქალისა“ წარუდგინა

თბილისში გამართული კონფერენცია იმ წვლილს მიეძღვნა, რომელიც ქალებსა და ახალგაზრდებს ქვეყნის განვითარების პოზიტიური დღის წესრიგის შექმნაში შეაქვთ. კონკრეტულად, კი მონაწილეობენ მშვიდობის მშენებლობის პროცესში.

პირველ პანელზე საუბარი შეეხო გადაუჭრელ კონფლიქტებთან დაკავშირებულ სიტუაციას, სადაც მომხსენებლებმა მიმოიხილეს არსებული ჩარჩო პირობები, კონფლიქტის ტრანსფორმაცია, მშვიდობის მშენებლობა, გამოწვევები და შესაძლებლობები, ხოლო მეორე პანელში, აქცენტები გაკეთდა ქალებისა და ახალგაზრდების, როგორც პოზიტიური დღის წესრიგის შემქმნელების ჩართულობის მნიშვნელობაზე.

პანელის **ერთ-ერთი მომხსენებელი „ქართული მედია ჯგუფის“ ხელმძღვანელი, ნინო ჩიბჩიური იყო,** რომელმაც ის ბარიერები განიხილა, რასაც ჟურნალისტები შიდა ქართლის რეგიონში, საოკუპაციო ხაზთან გადაადგილებისას, საკუთარი მოვალეობის შესრულებისას ხვდებიან. მან ისაუბრა მედიის როლზე და ამის თვალსაჩინოებისთვის საზოგადოებას, GMG-ს გაზეთი, „ხმა ქართველი ქალისა“ წარუდგინა.

მედიის როლთან ერთად, ყურადღება გაამახვილა საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები ქალების საჭიროებებსა და ახალგაზრდების სოფლებიდან გადინების საფრთხეებზე, რაზეც საუბარი დისკუსიის ნაწილშიც გაგრძელდა.

„ვიდრე მედიანამუშევრებს თქვენამდე მოვიტანთ, მთელი რიგი სირთულეების გადალახვა გვიწევს. საოკუპაციო ხაზთან ჩვენი უსაფრთხოება არ არის დაცული, რადგან ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით ყოველდღიურად იტაცებენ მშვიდობიან მოქალაქეებს რუსეთის ჯარისკაცები. მე მქონდა საშუალება ჩამეტარებინა კვლევა ამ თემის შესახებ და აღმოჩნდა, რომ 2008-2022 წლებში, საკუთარ ეზოებში, მიწის ნაკვეთებში, სოფლებში, 3400 ადამიანი დააკავეს, მათ შორის 493 ქალი იყო. ისინი გადაჰყავთ ცხინვალის საპატიმროებში და სხვადასხვა დროით, სრულიად აბსურდული ბრალდებით აკავებენ, თითქოს მათ თავისივე სოფელში ე.წ. საზღვარი გადაკვეთეს. შემდეგ ბრუნდებიან ეს ადამიანები ე.წ. გამოსასყიდის გადახდის სანაცვლოდ საკუთარ ოჯახებში დანგრეული და განადგურებული ფსიქიკით. იმის გამო, რომ თავის სოფელში გაჩერების და ცხოვრების გაგრძელების ეშინიათ, მიდიან ემიგრაციაში. ერთ-ერთ სოფელში, სადაც ყველაზე მეტი ასეთი გატაცება დაფიქსირდა, დავინტერესდი მოსახლეობის რაოდენობით და აღმოჩნდა, რომ მხოლოდ 2022 წლის განმავლობაში, 300-მდე ოჯახიდან 26 მათგანი საცხოვრებლად საზღვარგარეთაა წასული. სოფლები იცლება მოსახლეობისგან და მიგრაციის საფრთხე სახეზეა. ამიტომ ვფიქრობ, მათ ადგილზე დამაგრებისთვის, უფრო მეტის გაკეთებაა საჭირო, ვიდრე არსებული შეღავათები და პროგრამებია“ – აღნიშნა კონფერენციაზე, ნინო ჩიბჩიურმა.

შორენა ბიჭიკაშვილი

დევნილი ქალების საჭიროებები

სამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა, იძულებით გადაადგილებულ პირებთან ერთად განიხილეს

დევნილთა მდგომარეობას და საჭიროებებზე მსჯელობას დაეთმო თბილისში გამართული კონფერენცია, რომელსაც სამთავრობო და ადგილობრივი თვითმმართველობების წევრები, ასევე დევნილთა პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლები და რა თქმა უნდა თავად დევნილები ესწრებოდნენ. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ასევე აფხაზეთის მთავრობის და სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროების დევნილთა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ვლადიმერ ქებაძემ, რომელმაც წარადგინა 2022 წლის სააგენტოს ანგარიში და ისაუბრა სამომავლო გეგმებზე, რასაც მოყვა კითხვები და დისკუსია. ასევე წარდგენილი იყო ასოციაცია „თანხმობა“-ს მიერ ჩატარებული კვლევის წინასწარი შედეგები.

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე

დევნილი ქალების საჭიროებები

სამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა, იძულებით გადაადგილებულ პირებთან ერთად განიხილეს

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

პანელ დისკუსიაზე გამომსვლელებმა დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმებზე ისაუბრეს. ასევე წარადგინეს სერვისები, რომლითაც დევნილებს სარგებლობა შეუძლიათ. არსებულ საჭიროებებზე საკუთარი ხედვა და მოსაზრებები თავად მონაწილე დევნილებმაც გააჟღერეს.

ძირითადი კომენტარები და კითხვები გაკეთდა დევნილთა განსახლების თემებზე, დევნილთა შემწეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ასევე აფხაზეთიდან დევნილებმა დასვეს კითხვა მათ მიერ აფხაზეთში დატოვებულ უძრავ ქონებაზე და მისი რეგისტრაციის აუცილებლობაზე.

შეხვედრაზე დაიგეგმა შემდგომი ნაბიჯები და შეხვედრები უკვე კონკრეტულად ყველაზე საჭირბოროტო საკითხების ირგვლივ, სადაც ამ საკითხებზე მომუშავე კომპეტენტური პირები მიიღებენ მონაწილეობას.

ღონისძიება ორგანიზაცია „Bread for the World“ – ის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „ერთად ჩვენი უფლებებისთვის“ ფარგლებში გაიმართა, ი.გ.ქ ასოციაცია „თანხმობას“ ორგანიზებით.

ნინო ჩიბჩიური

დევნილთა დასახლებებში ქალებისთვის, სატრენინგო კურსი დასრულდა

საქაშეთის დევნილთა დასახლებაში ტრენინგი ჩატარდა თემაზე, „ფემიციდი და ქალთა უფლებები“. ტრენინგს უძღვებოდა „ქართული მედია ჯგუფის“ პროექტის მონაწილე, ლიკა მელანაშვილი.

შეხვედრა დასახლების სათემო ცენტრში გაიმართა, რომელიც წინა წლებთან შედარებით მსგავსი აქტივობებით ნაკლებად იტვირთება. ტრენინგის მონაწილე ქალებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ აღნიშნული თემის შესახებ ინფორმაცია და პირადი მაგალითების განხილვით, თავადაც დაესვათ შეკითხვები.

„გავაცანი ინფორმაცია ზოგადად ადამიანის უფლებების შესახებ. ვესაუბრე, თუ რა მიზეზებითაა აქტუალური ქალთა უფლებებზე მსჯელობა და რატომ გახდა საჭირო ამ თემის წინ წამოწევა. განვუმარტე ფემიციდის

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე

8 ქალი 27 წევრიან საკრებულოში – გენდერული ბალანსი ხაშურის მუნიციპალიტეტში

ნინო ლიპარტელიანი შიდა ქართლის ოთხივე მუნიციპალიტეტში საკრებულოს თავმჯდომარეთა შორის ერთადერთი ქალია. ფიქრობს, რომ ქალებს, კვოტირების წესით პოლიტიკური ჩართულობისთვის ხელშეწყობამ, ახალი შესაძლებლობები აპოვნინა და საზოგადოებაში საკუთარი როლი უფრო ნათლად დაანახვა.

„როდესაც საუბარი იყო იმაზე, რომ საკრებულოს თავმჯდომარეობაზე, შეიძლებოდა მქონოდა პრეტენზია, პირველი რაც გავაკეთე თვითმმართველობის კოდექსი ავიღე და გადავიკითხე, რომ გამეაზრებინა რას ნიშნავს საკრებულო, რადგან მანამდე არასდროს მქონია შეხება. საკმაოდ გვიან მოვედი პოლიტიკაში, თუმცა უმუშევარი არ მოვსულვარ. მე ვიყავი ორი უნივერსიტეტის პროფესორი და საკმაოდ დატვირთული და შემდგარი. ანუ იმის თქმა მინდა, რომ ჩემს კარიერულ წინსვლაში არცერთ მამაკაცს ჩემს გარემოცვაში ხელი არ შეუშლია. მე ჩემს თავში აღმოვაჩინე კიდევ ახალი შესაძლებლობები, რაც ალბათ მანამდე არ მჭირდებოდა“.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ამჟამად 27 წევრიდან 8 ქალია. აქედან ერთი მაჟორიტარი, დანარჩენი კი პროპორციული წესით არჩეული. მუნიციპალიტეტში ქალთა პოლიტიკური ჩართულობა ბოლო წლების მონაცემებით, გაუმჯობესებულია, რამაც კომისიის თავმჯდომარის მაკა დიდებულიძის აზრით, სოფლად მცხოვრებ ქალებში ნდობა გაზარდა და მათი გააქტიურება გამოიწვია.

„არცერთ სოფელში, არცერთი ქალი სოფლის კრებებში არ მონაწილეობდა, ამას პირადად ვადასტურებ. მანამდე ასე ხდებოდა – სოფლის რწმუნებული თუ დეპუტატი გავიდოდა და იქ რამდენიმე ადამიანს, ისიც მამაკაცს შეხვდებოდა. ერთ-ერთმა დეპუტატმა გვითხრა, რომ ზოგის ძმა გამოდის, ზოგის ქმარი და ისინი არ გამოუშვებენ ქალებს ამ შეხვედრაზე. ეტყვიან, რომ ეს არაა ქალის საქმეო. რომ გითხრათ დამოკიდებულება მთლიანად შეიცვალა – ასე არ არის, ერთი ხელის მოსმით ეს არ ხდება, თუმცა უკვე შეიძლება ითქვას გათამამდნენ ქალები, რადგან ჩვენ რომ მათ ზურგს ვუმაგრებთ და ვეუბნებით, რომ გამოდით და დააფიქსირეთ საკუთარი აზრი, თუ რიისი გაკეთება სურთ სოფელში. მათ უკეთ იციან რა სჭირდებათ. ნელ-ნელა დაირღვევა ალბათ ის სტერეოტიპი, რომ ქალები მხოლოდ სამზარეულოში უნდა იყვნენ“.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობის დონეს ხაშურის მუნიციპალიტეტში ამჟამადაც სწავლობენ. მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი, ნინო სუხიაშვილი ამ პროცესში პირადადაა ჩართული და ფიქრობს, რომ ადგილობრივი საჭიროებების გამოვლენაში ქალების მონაწილეობა სასიკეთო ცვლილებებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი ფაქტორია.

„ქალები უფრო მეტად ფიქრობენ შედეგებზე. მოგეხსენებათ, ჩვენ ვმუშაობდით გენდერულ ბიუჯეტზე და ეს პირველი მცდელობა იყო ჩვენგან. სწორედ გენდერული ბიუჯეტი არის ისეთი მიდგომა საქმის მიმართ, როდესაც დაგეგმვის პროცესშივე უნდა იყოს გათვალისწინებული შედეგი, ანუ რა გავლენას ახდენს ბიუჯეტი და როგორ აისახება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებზე. ქალების, მამაკაცების, ბავშვების, ასაკოვანი ადამიანების, შშმ პირების სხვადასახვა ადამიანების ცხოვრებაზე. დღეისთვის, გახლავართ გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი და ეს არის კონსულტანტის როლი. ჩვენ ვაკეთებთ სტატისტიკას ამ შემთხვევაში, მერიის სამსახურების ა(ა)იპების, რამდენი მამაკაცი მუშაობს, რამდენი ქალი და როგორ არის ეს პროცესები ჰორიზონტალურად და ვერტიკალურ ჭრილში განაწილებული. თუ არ გვეცოდინება სტატისტიკა თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ ვერ ვისმჯელებთ სიღრმისეულად პრობლემების აღმოფხვრაზე“.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის და გენდერული სტერეოტიპების შესახებ ხაშურთან ერთად კვლევა საქართველოს ხუთ მუნიციპალიტეტში, „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ ჩაატარა. გამოკითხულთა უმრავლესობა პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის დაბალი დონის მაჩვენებლის ერთ-ერთ მიზეზად, ქალი კანდიდატებისადმი ამომრჩევლის ნდობის ნაკლებობას ასახელებს. მათი შეფასებით, წყლით მომარაგების, მუნიციპალური ტრანსპორტის, უსაფრთხოებისა და სამოქალაქო თავდაცვის საკითხების შესახებ, მუნიციპალურ პროგრამებზე კაცი პოლიტიკოსები უკეთ მუშაობენ. ხოლო სკოლამდელი აღზრდის, შშმ პირებთან დაკავშირებულ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ქალები უკეთეს პროგრამებს შეიმუშავებენ.

ლელა ლობჟანიძე

დასაწყისი მე-2 გვ.-ზე

მნიშვნელობა, გავაცანი მისი ფორმები და უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის განვიხილეთ კონკრეტული მაგალითები. მათი ინტერესი გამოიწვია ასევე ძალადობისგან დაცვის საშუალებებმა და ქვეყანაში მოქმედმა მექანიზმებმა. დისკუსიის ნაწილში მონაწილეები აქტიურად იყვნენ ჩართულები. გაგვიზიარეს პირადი გამოცდილებები და დააფიქსირეს საკუთარი მოსაზრებები ამ თემის ირგვლივ. დასკვნით ნაწილში მათ შეკითხვებსაც ვუპასუხე“, – აღნიშნა ლიკა მელანაშვილმა.

მაისის თვეში ტრენინგები ჩატარდა ხურვალეთის დევნილთა დასახლებაში და ყოფილი მუსიკალური სკოლის შენობაში მცხოვრებ დევნილებთანაც. „ქართული მედია ჯგუფის“ პროექტის მონაწილეებმა – იზა ოქროპირიძემ და ლია რომელაშვილმა ისაუბრეს გენდერულ თანასწორობისა და ქალთა უფლებების შესახებ. შეხვედრაზე არსებული საკანონმდებლო მექანიზმები და ძირითადი გამოწვევები განიხილეს, რაც ქალთა უფლებების დარღვევის საფუძველი ხდება.

მონაწილეებს შორის უფროსი თაობის ადამიანებიც იყვნენ, რომლებიც მიესალმებიან კანონის ამოქმედებას ოჯახში ძალადობის შესახებ და თვლიან, რომ მათ პერიოდშიც, რომ აღმოფხვრილიყო ე.წ. „მოთმენის“ ტენდენცია, დღეს გცილებით უკეთესი მდგომარეობით, ჯანსაღ გარემოში იცხოვრებდნენ.

მსგავსი შეხვედრები „ქართული მედია ჯგუფის“ პროექტის, „ქალები დემოკრატიისა და მშვიდობის მშენებლობისთვის“ ფარგლებში სულ 10 დევნილთა დასახლებაში გაიმართა და მისი მხარდამჭერია „ფონდი ტასო“. ამ აქტივობებით „ქართულმა მედია ჯგუფმა“ 10 თვიანი პროექტი დაასრულა და პროექტში ჩართულ დევნილ ქალებს ტრენერის დამადასტურებელი სერტიფიკატი გადასცა.

ნინო ჩიბჩიური

გენდერული თანასწორობის საბჭოების საქმიანობა მოსახლეობის უმრავლესობისთვის უცნობია

გენდერული თანასწორობის საბჭოები 3 თვეში ერთხელ უნდა იკრიბებოდეს, თუმცა შიდა ქართლში, მომდევნო შეკრების თარიღი „ქართულ მედია ჯგუფს“ მხოლოდ გორის მუნიციპალიტეტში უთხრეს. კასპში, ქარელსა და ხაშურში მოდევნო შეხვედრის თარიღები ჯერჯერობით არ იციან, ასევე მედიისთვის ხელმისაწვდომი არ არის ის საკითხები, თუ რაზე იმსჯელეს და იმსჯელებენ მომდევნო შეხვედრებზე.

„ჩვენ გამოვითხოვეთ ინფორმაცია გენდერული თანასწორობის საბჭოების მუშაობაზე, შიდა ქართლში ოთხივე მუნიციპალიტეტმა მოგვაწოდა საქმიანობის გეგმა, თუმცა რამდენად თანმიმდევრულად მიყვებიან დოკუმენტში გაწერილ აქტივობებს, ჩვენთვის უცნობია. ამ დრომდე ვერ მივიღეთ პასუხები საბჭოებისგან რა საკითხები განიხილეს, დაგეგმეს და გაწერეს კონკრეტულად“, – ამბობს ჟურნალისტი, შორენა ბიჭიკაშვილი. ამ დროისთვის მხოლოდ ის გავარკვიეთ, რომ გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა დატოვა. ეს ინფორმაცია „ქართულ მედია ჯგუფს“ საკრებულოს თავმჯდომარემ, დავით რაზმაძემ მიაწოდა.



„ჩვენ გავზარდეთ კვოტა, რათა არ იყო სავალდებულო გენდერული თანასწორობის საბჭოში მხოლოდ საკრებულოს წევრები ყოფილიყვნენ, იცით, რომ საბჭოს წევრები არიან საკრებულოს აპარატიდან, ასევე გაიზარდა კვოტა არასამთავრობოებისთვისაც, რათა მათ შესძლებოდათ მიეღოთ მონაწილეობა საბჭოს მუშაობაში. მოხდა ისე, რომ საბჭოში შევიდა სამი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელიც ერთ-ერთი ორგანიზაციის მიერ შეირჩნენ, თუმცა მათგან ახლახანს ერთ-ერთმა დატოვა საბჭო, ეს არის საზოგადოება „ბილიკის“ ხელმძღვანელი მარიკა მღებრიშვილი, ალბათ მის მაგივრად შემოვა სხვა ორგანიზაცია, მღებრიშვილმა მოიხადა ბოდიში და თქვა, რომ ვეღარ ახერხებდა, საბჭოს მუშაობაში აქტიურად ჩართვას“ – აღნიშნა დავით რაზმაძემ.

გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოში, სულ 23 წევრია. 16 საკრებულოს წევრი, 2 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, 2 საკრებულოს აპარატიდან, 2 გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან.

როგორც გამოკითხვებიდან გამოიკვეთა, რიგითი მოქალაქეებისთვის, მათ შორის ქალებისთვის, გენდერული თანასწორობის საბჭოების შესახებ უცნობია.

ლელა ლობჟანიძე

„მივმართავ ცხინვალელ დედებს და ომგამოვლილ ქალებს – ნუ გაუშვებთ შვილებს სასაკლაოზე, რუსეთის ომში“

ცხინვალში მცხოვრებ ქალებთან ურთიერთობის აღდგენა და შეხების წერტილების გამონახვა აუცილებელია და ეს მხოლოდ პოზიტიურ მოვლენად შეიძლება შეფასდეს. მსოფლიო იცვლება, ახალი დღის წესრიგი ყალიბდება და ურთიერთობის აღდგენა აუცილებელია, ვინაიდან ისინი უკეთ ხედავენ, რომ რუსეთის უძლეველობის შესახებ მითი უკვე დაინგრა, ცდილობენ ეს ფაქტი მტკივნეული არ იყოს მათთვის, ამიტომ ახლა ჩვენი მხრიდან გარკვეული ნაბიჯების გადადგმაა საჭირო.

ყველაზე მეტად კონფლიქტების დროს ზარალდებიან ქალები ორივე მხარეს. ამიტომ ისინი ყველაზე მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ. მთელი სიმძიმე მათზე გადადის, ომის ხარკს მეტწილად ქალები იხდიან. მშვიდობიან დროს შვილები მარხავენ დედებს. ომის დროს პირიქით, დედები მარხავენ შვილებს. ესაა უპირველესი ტრაგედია ქალებისა ომის შემდეგ.

აბა კითხეთ ქალებს,როგორია მათი ცხოვრება ომის შემდეგ? რატომ რჩებიან ომის შემდეგ გოგონები გასათხოვრები? როგორ რჩება უშვილო იმ ქალების ნაწილი, რომელმაც ომი გამოიარა? ოკუპირებულ ტერიტორიებზე არავინ იზრუნა ომისაგან დაზარალებული ქალების ფსიქოსოციალურ დახმარებაზე. ასევე გამყოფი ხაზის მიმდებარედ მაცხოვრებლებზე. იქნებ მოხერხდეს და ონლაინ გადაცემები მაინც მოეწყოს სხვადასხვა რესურსის გამოყენებით, მას ძალიან ბევრი მაყურებელი გამოუჩნდება იქითა მხრიდანაც.

რაც შეეხება ახალ თაობას, ახალგაზრდების გაუცხოების საფრთხე დიდია. ნელ-ნელა ძნელდება საერთო ენის გამონახვა, რადგან მათში მტრის ხატი ქართველის სახით უკვე ჩამოყალიბდა, ამიტომ რუსეთს უპირობოდ კი არ უნდა დავთანხმდეთ ფრენების აღდგენაზე, ჩვენი პირობებიც უნდა დავახვედროთ. ვინმე მუშაობს დღეს ამ საკითხებზე?

უპირობოდ, ჩვენი მომავალი ევროპაშია. უკრაინაში ომის ფონზე, როგორ შეიძლება რუსეთის ნდობა? ხელის აუკანკალებლად ხოცავენ ქალებს, ბავშვებს, სჩადიან ათასგვარ სისაძაგლეს და ამას არ აკეთებდნენ ჩვენთან?

მივმართავ ცხინვალელ დედებს, ომგამოვლილ ქალებს: ნუ გაუშვებთ თქვენს შვილებს სასაკლაოზე, გაუფრთხილდით თქვენს მომავალს, ჩვენს შეიარაღებულ დაპირისპირებას გამარჯვებული არ ჰყავს, დამარცხებული ორივე მხარე ვართ, რადგან ვერ შევძელით მშვიდობის შენარჩუნება!

ლია ჩლაჩიძე,
„აგვისტოს ომის მუზეუმის“
დამფუძნებელი

„არ მერიდება არც ხილის მოსაწამლი აპარატის გამოყენება და არც სხვა საქმეები, რაც ჩემი ოჯახისთვის საჭიროა“

56 წლის თამილა ქონიაშვილი გორის მუნიციპალიტეტში, საოკუპაციო ხაზთან ცხოვრობს. სოფელ ქვეშში მისი ოჯახი 8 წევრისგან შედგება. ჰყავს სამი შვილი და შვილიშვილები. ამბობს, რომ ამ დრომდე მომხდარი საომარი მოქმედებების პარალელურად, ურთულესი მომენტები გადალახა. გარდა იმისა, რომ სასოფლო და საოჯახო საქმეებში წლებია ჩართულია, აქტიურად მონაწილეობს ტრენინგებშიც, რომლებიც ქალთა გაძლიერებას და მათი უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას გულისხმობს. სოფლად მცხოვრები ქალის ცხოვრებაზე საკუთარი მოსაზრებები პირად მაგალითებთან ერთად, მან სპეციალურად გაზეთის „ხმა ქართველი ქალისა“ მკითხველს გაუზიარა.

„რომ შემეძლოს ბევრ რამეს შევცვლიდი ჩემ ცხოვრებაში. მაშინ სხვა დრო იყო. მოტაცებულის უკან დაბრუნებას ხალხი სხვაგვარად აღიქვამდა. ამიტომ ბევრი ახალგაზრდა გოგო იძულებული გახდა საკუთარი გეგმები და ოცნებები გვერდზე გადაედო და ტრადიციულ ჩარჩოებში მოქცეულიყო. მე პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა დავვოჯახდი. ცხოვრებამ ბევრი გამოცდა მომიწყო, ბევრი ბარიერი გადამალახინა. ხომ გაგიგიათ, როგორც იწრთობა ფოლადი.. ასე ვარ მეც ცხოვრებას არ ვუშინდები და უამრავი პრობლემის მიუხედავად, ომის სტრესი, ზარალი და ა.შ. მაინც შემართებით ვაგრძელებ ცხოვრებას ისე, რომ არავის იმედად არაფერს არ ვაკეთებ. ალბათ პიროვნული ხასიათიდან გამომდინარე, როცა ვხედავ რომ რამეა გასაკეთებელი არ შემიძლია სხვას დაველოდო, თუნდაც ოჯახის წევრს, მგონია, რომ ჩემზე უკეთესად ამა თუ იმ საქმეს ვერავინ გააკეთებს. ხშირად მსმენია, რომ ეს ქალის საქმე არ არის, ის კაცის და ა.შ. მაგრამ ჩემთვის ეს მხოლოდ სტერეოტიპებია. დილით ადრეც ავმდგარვარ მოსაწამლი აპარატიც ჩამირთავს, ტრაქტორიც მომიყვანია და რაც საჭიროა სოფლის მეურნეობისთვის გამიკეთებია“.

თამილა ქონიაშვილი თანასოფლელ ქალებთან ერთად, ლიდერული უნარების შესახებ სოფელ ტირძნისში გამართულ ტრენინგს დაესწრო, რომელიც ორგანიზებული იყო, შიდა ქართლის სათემო ფონდი მშვიდობისა და განვითარებისთვის“ მიერ.

ნინო ჩიბჩიური

„ფეხმძიმე ქალმა ორი წლის ბავშვით და ორი ჩანთით დავტოვე მშობლიური მხარე, რუსეთის აგრესიის გამო – მას შემდეგ დაბრუნების იმედით ვცხოვრობ“

2008 წლის შემდეგ, ყოველი ზაფხულის მოახლოება დევნილ მოსახლეობაში ემოციებს და სევდას იწვევს. განსაკუთრებით რთული დღეები ლიახვისა და ფრონეს ხეობებში მცხოვრებმა ქალებმა გამოიარეს, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვების დედებმა და მშობიარობის ეტაპზე მყოფმა ქალებმა. დევნილობაში არსებულ სირთულეებს თან ახლდა ცხოვრების რიტმის შეცვლა. უმრავლესობა სამსახურის გარეშე დარჩა და სხვა საჭიროებებთან ერთად, ფიქრი შემოსავლის წყაროზეც მოუწია. ერთ-ერთი მათგანი, რომელმაც რუსული აგრესიის გამო მძიმე დღეები გამოიარა და დევნილობით გამოწვეულ სირთულეებთან ბრძოლას აგრძელებს, დალი ლომსაძეა, ის ძარწემის სკოლაში ომამდე, ისტორიის პედაგოგად მუშაობდა.

შემოგარენი დაცლილიყო ქართველი მოსახლეობისაგან, მაგრამ ხალხი არ დაიძრა ხეობიდან და არც მიუტოვებიათ. მაშინ, 12 აგვისტოს, ოკუპანტებმა განსაკუთრებით დაბომბეს ხეობის სოფლები,ზოგ სკოლას ხანძარიც გაუჩნდა. ქალები და ბავშვები სექტემბრის დასაწყისამდე მთავრობამ გამოიყვანა ავტობუსებით ერგნეთის და მეღვრეკისის მისადგომებიდან.

2008 წელს მოსალოდნელი იყო ომი, ამას არც მალავდნენ კოკოითის წარმომადგენლები და რუსი ოკუპანტები. აპრილის თვეში ძარწემის მაღლა მთებზე, ე.წ სანგრები იყო გაკეთებული. 2008 წლის ივლისის დასაწყისში ხეითი-ერედვის შემოვლით გზაზე დაიწყო აფეთქებები. ისედაც მთელი 18 წელი სულ ომში ვიყავით და ხეობას ასე

– თქვენ რა დროს დატოვეთ სახლი და რა გზა გაიარეთ დევნილობამდე, როგორ ცხოვრობთ ახლა, რა არის თქვენი შემოსავალი, სად ისურვებდით აქ საქმიანობის გაგრძელებას, თუ ეცადეთ სადმე იგივე მიმართულებით გემუშავათ და რა ბარიერები გხვდებათ დღემდე დასაქმების კუთხით?

– 2008 წლის 31 ივლისს დავტოვე ძარწემის სახლი. ფეხმძიმე ქალმა, ორი წლის ბავშვით, ორი ჩანთით. წავედი სამშობლოში, გორის რაიონის სოფელ შერთულში. პირველიდან ოთხ აგვისტომდე მთელი დღე იბომბებოდა ავნევი და ნული, ამას ტელევიზიიდანაც ვიგებდით და აფეთქებების ხმები ძევერა – შერთულშიც ისმოდა. ღამით 6 აგვისტო რომ უნდა გა-

– ქალბატონო დალი, მოგვიყევით, როგორი იყო ლიახვის ხეობაში 2008 წლის აგვისტომდე თქვენი ყოველდღიური ცხოვრება?

– 2008 წლის ომამდე ლიახვის ხეობის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში, ძარწემში ვცხოვრობდი და ვმუშაობდი ამავე სოფლის სკოლაში, ისტორიის პედაგოგად. ორჯერ გავხდი დევნილი საოკუპაციო რეჟიმის გამო. დევნილობამდეც არ მქონია დალხინებული ცხოვრება. ამჟამად, ვცხოვრობ წეროვნის დასახლებაში, ვარ უმუშევარი.

ყოველდღიური ცხოვრება დაკავშირებული იყო ოჯახთან და სკოლასთან, მოსწავლეებთან მეზობლებთან,თანასოფლელებთან.

მყავს მეუღლე და სამი ვაჟი, ორი შვილიშვილი. ჯერ კიდევ 1991 წლის 4 სექტემბერს, ლიახვის ხეობა შეძრა ძარწემში მომხდარმა უდიდესმა ტრაგედიამ. მოკლეს ოთხი ძარწემელი კაცი, მათ შორის იყო ჩემი მეუღლის მამა. ჟორა (გიორგი) გოგიძე. ძარწემის სოფლის საქონელი საძოვრიდან გადარეკეს მთებით ცხინვალელმა კრიმინალებმა და ეს უდანაშაულო ოთხი მწყემსი წამებით მოკლეს.

2004 წელსაც უნდოდათ რუსეთის ჯარისკაცებს დიდი ლიახვის ხეობა და მისი ვინარჩუნებდით. ტელევიზიით აჩვენებდნენ, თუ როგორ გაჰყავდათ ცხინვალიდან ქალები და ბავშვები, პირდაპირ იმუქრებოდნენ, რომ ლიახვის ხეობას ქართველებისაგან დაცლიდნენ.

თენებულიყო სარდაფში ჩავედით, მეორე დილით იძულებული გავხდი როგორც პატარა ბავშვის პატრონი და ფეხმძიმე ქალი, მეზობლებისა და ახლობლების რჩევით, წავსულიყავი თბილისში.7 აგვისტოს საღამოს ჩავედით თბილისში. გზაში გავიგეთ ხეობის და ერედვის მოსახლეობის ნაწილობრივ დაცლის ამბავი. რადგანაც ხეობაში უკვე შემოდიოდა ჯავის მხრიდან კეხვზე გამოვლით რუსის ჯარი. ოსი მარადიორები კი ძარცვავდნენ და წვავდნენ ქართველების ქონებას და სახლებს.

10 აგვისტოდან ჩემი ოჯახი შეეგუა დევნილობას და თბილისის ქუჩებში დავდიოდით და დავეძებდით თავშესაფარს. ბოლოს, თბილისის მერიამ გაგვანაწილა საბურთალოზე სკოლაში, შემდეგ – საბავშო ბაღში, მესამედ კი შეგვასახლეს კიბერნეტიკის ინსტიტუტის შენობაში, სანდრო ეულის ქუჩაზე, დაჩი მაშინ გახდა 40 დღის. ეს იყო მესამე ვაჟი ჩემს ცხოვრებაში, რომელიც დევნილობას ალამაზებდა და აძლიერებდა.

2008 წლის დეკემბრის ბოლოს, წეროვანში დავსახლდით, დაიწყო სამასახურის პრობლემები, დიდი ბრძოლით მივაღწიეთ იმას, რომ 18 თვიანი პროგრამით დაგვასაქმეს დევნილთა დასახლების ახლოს მდებარე სკოლებში, დისციპლინის ზედამხედველ პედაგოგებად 80-120 ლარის ოდენობის ხელფასზე. 2011 წლის ივლისიდან გაუქმდა სკოლები სამაჩაბლოში.

– რამდენად აქტიურად ხართ ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამჟამად? როგორია თქვენი მოლოდინები, სამომავლო გეგმები, განწყობები, რომ შეგეძლოთ რას შეცვლიდით დევნილთა ცხოვრებაში?

– ვარ სერტიფიცირებული პედაგოგი, შემოთავაზებები იყო დროებით დასაქმებაზე, ეს ყველაფერი არის ბარიერები. შესაძლებლობა, რომ მქონდეს სამომავლოდ წეროვანში შევქმნიდი მცირე საწარმოებს, სადაც დავასაქმებდი ომ გამოვლილ ქალებს.დღემდე ვიბრძვი დევნილთა უფლებებისთვის, მაგრამ არადა არ ემატება 45 ლარს. ხშირად 45 ლარიც არ ერიცხებათ ვისაც ხელფასი აქვს 1250 ლარი, ჩემი აზრით ეს დიდი უსამართლობაა.

მიუხედავად ყველაფრისა, იმედი მაქვს რომ დავბრუნდებით ლიახვის ხეობაში, გეპატიჟებით აქედანვე და ვისურვებდი, პირველი ჟურნალისტი თქვენ იყოთ ქალბატონო ნინო ვინც ჩვენი დაბრუნების შესახებ მოამზადებს სტატიას და სიუჟეტს.

ესაუბრა
ნინო ჩიბჩიური

საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები 17 წლის მოსწავლე აშშ-ში მიემგზავრება, ის FLEX-ის გამარჯვებულია

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალუბანში მცხოვრები, 17 წლის ლიზი პეტრიაშვილი აგვისტოში აშშ-ში მიემგზავრება. ის FLEX-ის პროგრამის გამარჯვებულია, რომელიც ქართველ მონაწილეებს სთავაზობს შესაძლებლობას ისწავლონ ამერიკულ სკოლაში და იცხოვრონ ამერიკელ მასპინძელ ოჯახებში ერთი აკადემიური წლით. პირველი საერთაშორისო დონის წარმატების შესახებ ლიზიმ ჩვენი გაზეთის მკითხველს უამბო და გეგმავს, რომ მშობლიური ქვეყანა და კონკრეტულად საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელში ადგილობრივების ცხოვრება საზღვარგარეთ, ახალ მეგობრებს გააცნოს.

"რამდენიმე წლის წინ ტიკტოკზე შემხვდა ვიდეო, სადაც ერთი გოგო ყვებოდა თავის ამერიკულ ცხოვრებაზე და მაშინ დავისახე მიზნად, რომ მეც მიმეღო ამ პროგრამაში მონაწილეობა და სულ რომ არ გამემარჯვა, ეს იქნებოდა ჩემთვის ძალიან დიდი გამოცდილება. ეს წარმატება გულისხმობს ძალიან დიდ გადადგმულ ნაბიჯს მომავლისკენ, უფრო დიდი მიზნებისთვის, უფრო დიდი გეგმებისთვის. ეს ერთი წელი ძალიან დიდ გამოცდილებას შემძენს და შემდეგ ამ გამოცდილებით შევეცდები, საზღვარგარეთ გავაგრძელო სწავლა. როცა სწავლას დავამთავრებ, მინდა ამ ჩემი ცოდნით და გამოცდილებით ისევ საქართველოში დავბრუნდე.

სხვა ბავშვებსაც ვურჩევ, რომ იყვნენ ბუნებრივები და შესაძლებლობები მაქსიმლურად გამოავლინონ. არიან ბავშვები, რომლებიც ცდილობენ ჩარჩოებში მოაქციონ თავიაანთი თავი. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ რთულია ამ პროცესების გავლა, ვთვლი რომ ნებისმიერმა ბავშვმა, რომელიც ასაკობრივ ზღვარს დააკმაყოფილებს, უნდა სცადოს ბედი. მე პირადად ჩემი გამოცდილებით გეტყვით, რომ ძალიან ბევრი უნარი აღმოვაჩინე საკუთარ თავში. კონკურსში მონაწილეობის მიღებისთანავე უფრო პასუხისმგებლიანი, კომუნიკაბელური გავხდი და არც მეგონა, რომ როცა ჯგუფურ დავალებებს ვაკეთებდი, ადამიანებთან ასე გავიხსნებოდი. ეს პროგრამა გაძლევს შანსს, რომ გამოავლინო საკუთარი მე და ამხელა ქვეყანას დაანახო საკუთარი შესაძლებლობები. ქვეყნის ისტორიას და კულტურას ამერიკელ მეგობრებს აუცილებლად გავაცნობ, რადგან ამ პროგრამის დანიშნულებაც სწორედ ეს არის, რომ მე გავუზიარებ ჩვენი ქვეყნის ტრადიციებს, დიდ წარსულს, საამაყო ისტორიას და ისინი თავიაანთი ქვეყნის კულტურას გამაცნობენ.

ჩემ სოფელზეც აუცილებლად მოვუყვები. ვთვლი, რომ უნდა იცოდნენ, ასეთ პატარა ქვეყანაში რომ ცხოვრობენ ისეთი ბავშვები, რომლებიც იზრდებიან საოკუპაციო ხაზთან. მიუხედავად ასეთ გარემოში ყოფნისა და სტრესისა, მაინც შეუძლიათ დიდი მიზნის დასახვა და წარმატების მიღწევა, ლოკალური ადგილმდებარეობა არ ნიშნავს იმას, რომ ეს ბავშვები ვერაფერს მიაღწევენ. ეს უკვე ბევრმა ბავშვმა დაამტკიცა, რომლებიც დიდი წარმატებით და ოქროს მედლით ამთავრებენ საოკუპაციო ხაზთან მდებარე აძვის სკოლას და წარმატებული მოსწავლეობიდან, წარმატებული სტუდენტებიც ხდებიან" – აღნიშნა ლიზი პეტრიაშვილმა.

FLEX-ის პროგრამის წარმომადგენელთა განმარტებით, ბევრმა კურსდამთავრებულმა სახლში დანრუნების შემდეგ პრესტიჟულ უნივერსიტეტში ჩააბარა და მოგვიანებით იპოვა საინტერესო სამსახური, იმ უნარის გამოყენებით, რომელიც ამერიკაში ყოფნისას შეიძინა.

მერი კორინთელი

ვაშლის ჩიფსები დიციდან – საოკუპაციო ხაზთან საწარმოს ამუშავებენ

მაშინ, როდესაც ახალგაზრდები განვითარების პერსპექტივებს ქალაქში ეძებენ 26 წლის თამარ შეითნიშვილმა ახალი იდეის განხორციელება სოფელ დიცში გადაწყვიტა. ამბობს, რომ მეგობრებთან ერთად ახალი საქმის წამოწყება სურდა, რომლის განვითარების ლოკაცია სწორედ საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელი იქნებოდა.

„ვაშლის ჩიფსი გამორჩეული პროდუქტი იყო: ერთდროულად ინოვაციურიც და სასარგებლოც. თუმცა, ამ ყველაფერს განვითარება სჭირდებოდა.მხარდაჭერა მალევე მოვიპოვეთ, თავდაპირველად, „სტარტაპ საქართველოს" 100 000 ლარის ოდენობის გრანტი მივირეთ, მოგვიანებით კი ახალი პროექტი დავიწყეთ უკვე ევროკავშირისა და CENN-ის მხარდაჭერით, რაც გულისხმობდა მასშტაბების ზრდას და ხილის გემოებით ვაშლის ჩიფსების წარმოებას, ასევე უნარჩენო წარმოების დაწყებას. რაც გულისხმობს ვაშლის ნარჩენისგან მასის გაკეთებას, რითიც ვქმნით ბაზარზე არსებული ტყლაპის მსგავსს ახალ ინოვაციურ პროდუქტს"-ამბობს თამარი.

საწარმო სოფელ დიცში 2017 წელს გაიხსნა და მუდმივად 6 ადამიანი მუშაობს, ხოლო საშუალო პერიოდულობით დაახლოებით 15-მდე ადამიანია დასაქმებული. მისი წარმომადგენლები სამომავლოდ ადგილობრივებისთვის უფრო მეტი სამუშაო ადგილის შექმნას ფიქრობენ.

საკუთარ გეგმებსა და ამჟამინდელ საქმიანობაზე თამარი და მისი მეგობრები ადგილზე ჩასულ ჟურნალისტებს ესაუბრნენ. 10-მდე მედიის წარმომადგენელი, მწვანე მეწარმეებს მედიატურის ფარგლებში შეხვდნენ, რომელიც გარემოსდაცვითი ორგანიზაციის, CENN-ის ინიციატივით მოეწყო. მათთან ერთად, საწარმოების მუშაობის გასაცნობად ადგილზე ხელისუფლების წარმომადგენლებიც მივიდნენ.

„ვაშლის ჩიფსები" გორის მუნიციპალიტეტში ერთადერთი საწარმო არაა, რომელიც კავკასიის სოციალური ინოვაციების საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა. გამარჯვებულთა შორისაა სოციალური საწარმო „ლიდერი". ის ერთ-ერთი პირველი სამკერვალოა რეგიონში, რომელმაც ნარჩენების გადამუშავების სტრატეგია შეიმუშავა. გასულ წელს, საწარმომ 24 სოციალურად მოწყვლადი 18-29 წლამდე ახალგაზრდა გადაამზადა, საიდანაც 14 დასაქმდა.

ტექსტილის ნარჩენებს იყენებს საკერავ მასალად კიდევ ერთი საწარმო „ბამანე". გარემოსდაცვითი მისიის გარდა, საწარმოს სოციალური მისიაც აქვს, რაც მოწყვლადი ქალების დასაქმებას და მათ რესოციალიზაციას გულისხმობს. ამჟამად სამკერვალოში 6 ადგილობრივი ქალია დასაქმებული.

ადგილობრივი ქალები დაასაქმა გორის მუნიციპალიტეტში ყვავილების სათბურმა „ფლორა-ვილ". ის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა გარეჯვარში მდებარეობს.

„ჩემი მიზანია დავასაქმო ახალგაზრდები და განსაკუთრებით ქალები, იმისთვის რომ უფრო მეტად გავძლიერდეთ. სოფლად მცხოვრებ ქალებში ნამდვილად არსებობს განვითარების პოტენციალი და აუცილებელია, რომ ჰქონდეთ მათ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალება. ჩვენ, ქალბსაც შეგვიძლია ვიყოთ ლიდერები და მივაღწიოთ არაერთ წარმატებას", – ამბობს საწარმოს ხელმძღვანელი, ნათია ირემაძე.

მედიატურის შედეგად აღმოჩნდა, რომ საწარმოებში ძირითადად ქალები არიან დასაქმებულები, ხელმძღვანელი პირები/მწვანე მეწარმეებიც არიან ასევე ქალები. მედიატურის მონაწილეებმა გორში „ინოვაციური ჰაბიც" დაათვალიერეს, მისი ფუნქციური დატვირთვის შესახებ ინფორმაცია კი CENN-ის წარმომადგენლებისგან მიიღეს. მათი განმარტებით, გორთან ერთად მსგავსი სივრცეები ახმეტასა და ნინოწმინდაშიც გახსნეს, სადაც ამა თუ იმ თემისთვის მნიშვნელოვან გარემოსდაცვით თუ სოციალურ კამპანიებსა და პროექტებს ადგილობრივი ახალგაზრდები ახორციელებენ.

გარემო პირობების გაუმჯობესება სოციალური მეწარმეობისა და მწვანე ინოვაციების განვითარებისთვის ევროკავშირის აღნიშნული პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია. ჯამში ამ დრომდე საქართველოში 13 სოციალური მისიის მქონე საწარმო დაფინანსდა.

„მწვანე და სოციალური კომპონენტი ევროკავშირისთვის ძალიან მნიშნელოვანია.ევროკავშირის ამ პროგრამის მთავარი პრიორიტეტები ახალგაზრდების დასაქმება, მათში სამეწარმეო უნარების განვითარება და მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობაა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ პროექტი, რომელსაც ახორციელებს CENN, სრულად მოიცავს ამ სამ პრიორიტეტს", – აღნიშნა საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ახალგაზრდობის პროგრამის ხელმძღვანელმა ნინო სამველიძემ.

თავის მხრივ, კავკასიის გარემოსდაცვით ორგანიზაციაში ფიქრობენ, რომ ახალგაზრდების და განსაკუთრებით ქალების ჩართულობა აღნიშნულ საქმიანობაში ორმაგად მნიშვნელოვანია კონფლიქტის ზონასთანა ხლოს მდებარე რეგიონში. უნდა აღინიშნოს, რომ შიდა ქართლიდან, სადაც საოკუპაციო ხაზთან 56 სოფელი მდებარეობს, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ახალგაზრდების მასიური გადინება შეინიშნება. ნაწილი ამას უსაფრთხოების ზომებს უკავშირებს, ზოგიერთი კი სოფლად განვითარების პერსპექტივებს ვერ ხედავს. შექმნილი ვითარების მიუხედავად, ადგილზე რჩებიან „ვაშლის ჩიფსების" მწარმოებლების მსგავსი ახალგაზრდები, რომლებიც ცხოვრებას არ უშინდებიან და ამის მაგალითს სხვებსაც აძლევენ. საოკუპაციო ხაზთან მდებარე საწარმოს წარმატებული მომავალი შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივების კეთილდღეობასაც ნიშნავს.

ნინო ჩიბჩიური

„პროფესია გენდერის გარეშე“ – კონკურსში გამარჯვებამ ამ მიმართულებით მუშაობის მოტივაცია მომცა

გორის გენდერული თანასწორობის საბჭომ კონკურსი გამოაცხადა, თხრობით ნაწარმოებზე „პროფესია გენდერის გარეშე“, რომლის შესახებ ინფორმაცია სკოლამ მომაწოდა. საკონკურსო პირობების თანახმად, ნამუშევარში ასახული უნდა ყოფილიყო ავტორის ხედვა, პროფესიებში გენდერული პრობლემების შესახებ. ჩვენი სკოლიდან 2-მა მოსწავლემ მივიღეთ მონაწილება, ორივე ნამუშევარი დაიბეჭდა ბროშურაში, რომელიც გენდერულმა თანასწორობის საბჭომ გამოსცა. ჩემმა ნამუშევარმა კი მეორე ადგილი დაიკავა, რამაც ძალიან გამახარა და კიდევ უფრო მეტი მოტივაცია მომცა.

ვფიქრობ, გენდერული საკითხების მიმართულებით მომავალშიც აქტიურად გავაგრძელო მუშაობა და მსგავს ღონისძიებებში ჩავერთო. მიხარია, რომ ბევრი ბავშვი გაეცნობა ბროშურაში წარმოდგენილ ნამუშევრებს. ჩვენი კლასიდან ალბათ ყველა ბავშვს მოუნდება წაიკითხოს რა დაწერა მათმა ორმა კლასელმა და იმედი მაქვს, პროფესიის არჩევისას აღარ იფიქრებენ, რომელი პროფესია შეეფერება ქალს და რომელი კაცს.

ვეცადე ჩემს ხედვაში წინ წამომეწია ყველა ის პრობლემა, რომელიც ქალებს აქვთ, პარალელები გამევლო გასულ საუკუნესა და დღევანდელობას შორის, მინდოდა მკითხველისთვის ნათელი ყოფილიყო გენდერული თანასწორობის მნიშვნელობა.

საკონკურსო თემაში განხილვის ერთ-ერთ მაგალითად, სკოლაში ნასწავლი ოთარაანთ ქვრივის მებრძოლი ხასიათი წარმოვაჩინე, რომლის მსგავსი მოტივაცია დღეს, უმრავლესობას არ გააჩნია.

„რა ქალის საქმეა ბოსტნის მოვლა, ვის გაუგონიაო, თუ არ გაუგონიათ, ეხლა გაიგონონო“, – ამბობდა ოთარაანთ ქვრივი. ვითამ მე რითა ვარ ნაკლები აიმ გოგიაზედ! მე რაღა ღვთისაგან შერისხული ვარ. რა ვუყოთ, რომ ის მამაკაცია და მე დედაკაცი. მითამ ჩემზედ წინ რით არის? იმასაც ორი ხელი და ფეხი აქვს და მეცაო. თუ ის ხელ-ფეხს ასაქმებს, მე რაღა დარდუბალა გადამკიდებია!.. რა საპყარი და დავარდნილი მე მნახესო!“

საუკუნის წინანდელი განწყობები დღესაც დღის წესრიგში დგას და იქნება (დღესაც უძრავი ქონების, მიწის მესაკუთრეთა,უმრავლესობა სწორედ მამაკაცია) მანამ, სანამ ქალთა ემანსიპაციის გზაზე არ გაცნობიერდება ქალის ჩართულობის, მისი ხედვების ასახვის მნიშვნელობა საზოგადოებისთვის.

ყოველი სახელმწიფო საზოგადოებისაგან შედგება. საზოგადოებას კი ინდივიდები ქმნიან. ამიტომ არის მნიშვნელოვანი ყველა ინდივიდის სამოქალაქო, მაღალი პასუხისმგებლობა, რათა ღირებულებად იქცეს სოციალური სამართლიანობა, რომელიც ვერ იარსებებს სხვა საკითხებთან ერთად, რეალური გენდერული თანასწორობის გარეშე.

მადლობა მინდა გადავუხადო ღონისძიების ყველა ორგანიზატორს, სკოლას და ამ კონკურსში ჩართულ პირებს. თემაზე მუშაობამ კიდევ ერთხელ დამანახვა, რამდენი სტერეოტიპი გვაქვს საზოგადოებაში, რომელიც ხშირად პრობლემა ისე ხდება, რომ გაცნობიერებულიც არ გვაქვს.

ქრისტინა სამნიაძე
კარალეთის ოთარ სუხიტაშვილის სახელობის მე-2 საჯარო სკოლა, მე-8 კლასის მოსწავლე

„ვეხმარებით სოციალურად დაუცველ ქალებს, იმისთვის, რომ იყვნენ ძლიერები და არ შეუშინდნენ ცხოვრებისეულ სირთულეებს“

25 წელია საზოგადოება „ბილიკის“ ხელმძღვანელი ვარ, გავიარე ყველა ეტაპი, ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბების, განვითარების, მდგრადობის. ეს ორგანიზაცია ფუნქციონირებს იმისთვის, რომ მხარი დაუჭიროს ბავშვებს, ახალგაზრდებს, ადგილობრივი თემის წარმომადგენლებს, რათა ისინი იყვნენ აქტიური მოქალაქეები, ამ პროცესში ბუნებრივია ძალიან მნიშვნელოვანია გოგონების და ქალების როლი, ამიტომ ორგანიზაციას აქვს პრიორიტეტი განავითაროს პროექტები, როგორც გოგონების, ისე ქალებისთვის. ეს პროექტები ძირითადად ეხება მათ განათლებას, არაფორმალურ განათლებას, პროფესიული უნარების განვითარებას, იმისთვის, რომ მათ სამუშაო ადგილზე შეძლონ დამკვიდრება.

განსაკუთრებით ჩვენი ორგანიზაციისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს, ქალები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, მათ არამხოლოდ საგანმანათლებლო კომპონენტს ვთავაზობთ, არამედ მათი ინტერესებიდან გამომდინარე სხვადასხვა შეხვედრებს სხვადასხვა მიმართულებით, დაწყებული სამედიცინო სფეროდან, ასევე სოციალური კუთხით და იურიდიული კონსულტაციების მიმართულებით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა „პოზიტიური მშობელი“, ეს ბუნებრივია კაცებსაც ეხებათ, მაგრამ უმეტეს შემთვევაში ქალები არიან დაკავებულები შვილების აღზრდით. ამიტომ ამ კომპონენტში გვიწევს შეხვედრა დედებთან, ეს არის სპეციალური კურსი „პოზიტიური მშობლის“ ცალკე კომპონენტად გვაქვს ფსიქოლოგიური მომსახურება, მაგალითად: როდესაც ბავშვი არის გარდატეხის ასაკში, ეს არის ყველაზე პრობლემური, განსაკუთრებით, როცა ოჯახის სოციალური მდგომარეობა არ არის ხელსაყრელი, ამ შემთვევაში ფსიქოლოგის კონსულტაციებს აქვს ძალიან დიდი როლი, ჩვენი ფსიქოლოგები მუშაობენ როგორც დღის ცენტრებში, ისე აქვს მშობლის ფსიქოლოგიური დახმარების მომსახურება და როგორც უკვე ვთქვი, ძირითადად ჩართულები არიან დედები. მოზარდი, როცა იმყოფება გარდატეხის ასაკში სამყარო მათთვის არის განსხვავებული, ამიტომ მათ სჭირდებათ განსაკუთრებული მხარდაჭერა.

მე მოვუწოდებ ყველა ქალს იყვნენ ძლიერები, როდესაც ქალი არის ძლიერი, ის ქმნის ისეთ გარემოს, როგორც ოჯახში ისე გარეთ, ეს დაცულობის განცდას მატებს ყველას, ეს სჭირდებათ ოჯახის წევრებს, შილებს, მეუღლეებს, უფროს თაობას, ამიტომ უნდა იყვნენ ქალები ყველაზე ძლიერები, რათა უფრო მეტი შეძლონ, პირველ რიგში თავისი ოჯახის წევრებისთვის მერე კი ადგილობრივი თემისთვის.

მარიკა მღებრიშვილი,
საზოგადოება „ბილიკის“ ხელმძღვანელი

ქალი ოჯახში, ბიზნესსა და საზოგადოებრივ საქმიანობაში – ირმა კიტრიაშვილის წარმატების ფორმულა

ირმა კიტრიაშვილი კასპიდანაა. ამ დრომდე სხვადასხვა მიმართულებით ჩართულია საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ცდილობს საკუთარი წვლილი შეიტანოს, მედიის, გარემოს დაცვის, ბიზნესის და ზოგადად, დემოკრატიული პროცესების განვითარებაში. რა უნარები სჭირდება ქალს აქტიურობისთვის ოჯახსა და საზოგადოებაში, ამ თემებზე ის თავად გვესაუბრება სპეციალურად ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის.

– ირმა რამდენი ხანია საკუთარი შემოსავალი გაქვს და ამ დრომდე რა სფეროებში მოგიწია საქმიანობა?

– დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება ითქვას, რომ მრავალი პროფილით მომიწია მოღვაწეობა, როგორც პროფესიულად, ისე ბიზნესის მიმართულებით. განათლებაც სხვადასხვა სფეროებში მაქვს მიღებული. პირადი შემოსავლის გამომუშავება, სტუდენტობის პერიოდიდან დავიწყე. პირველად აუთლეტის ტიპის მაღაზია ოჯახის დახმარებით გავხსენი. 2002 წლიდან მუშაობა დავიწყე ადგილობრივ ტელევიზიაში, იმ პერიოდში ვსწავლობდი თბილისის შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სამეცნიერო ინსტიტუტში მე-3 კურსზე, ასევე ვმუშაობდი სამედიცინო სფეროში და დროის სიმცირის გამო მომიწია საქმიანობის შეჩერება. 2007 წლის 8 მარტს, ქალაქ კასპში გავხსენი ყვავილების მაღაზია, რომელიც დღემდე ფუქციონირებს. ყვავილებთან ერთად ვამუშავებდი სილამაზის სალონს. 2018 წელს ავამუშავე რძის გადამამუშავებელი საწარმო „ნებიერა„სწორედ იმ პეროდში მომიწია ექვს სხვადასხვა სფეროში მუშაობა; კავკასიის გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელში CENN. შიდა ქართლის მასშტაბით, ვახორციალებდი პროექტს „ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში“, რომლის მთავარი მიზანი იყო დავხმარებოდით თვითმართველობებს ნარჩენების მართვის სექტორის მოდერნიზებაში და მოსახლეობის ცნობიერება გაგვეზარდა გარემოს დაცვით კომპონენტში. შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრისთვის ვამზადებდი სიუჟეტებს. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება ISFED – დან ვაკვირდებოდი 2018 წლის საპარლამენტო არჩევნებს. ვამუშავებდი ყვავილების მაღაზიას „Bellissima“ და სილამაზის სალონს, ასევე რძის გადამამუშავებელ საწარმოს „ნებიერა“.

– როგორც ქალს რა სირთულეები გვხვდებოდა და ძირითადად რომელ სფეროებში?

– სირთულები, ყველა ჩემი საქმიანობის თანმდევი პროცესია. მას მივიჩნევ, როგორც გამოწვევას და ვცდილობ ქმედითი ნაბიჯებით დავძლიო გამოწვევები. მე პირადად არ მიმაჩნია სქესი, სირთულეების წარმოშობის მიზეზად. კაცებსაც აქვთ სირთულეები ბიზნესშიც და პროფესიულ საქმიანობაშიც. მთავარია, გამოვიმუშაოთ სირთულეების დაძლევის უნარები და რწმენა არ დავკარგოთ, მაშინ ყველაფერი გამოგვივა.

– კასპში ყვავილების მაღაზია ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც დამოუკიდებლად წამოიწყე და დღემდე წარმატებით აგრძელებ საქმიანობას, ამ იდეაზე უფრო მეტი გვითხარი, საიდან დაიწყე, როგორ განავითარე და რატომ გადაწყვიტე ამ ბიზნესის წამოწყება?

– ყვავილები ბავშობიდან მიყვარდა. სახლში იმდენი ყვავილი მოვაშენე, უცხო ადამიანებიც კი მოდიოდნენ დასათვალიერებლად და ნერგებს მთხოვდნენ. ყვავილს სხვა ენერგია მოქვს ჩემთვის, დადებით მუხტს მაძლევს, ეს არის ჩემი ჰობი და რატომ არ უნდა ვაქციო ის შემოსავლის წყაროდ? ყვავილებთან ჩემი დამოკიდებულება მაშინაც გამოჩნდა, როდესაც ჩემი საქორწინო თაიგული პირადად მე შევფუთე, მიუხედავად იმისა, რომ ორი საუკეთესო ფლორისტი გვერდით მედგა.

17 წლის წინ, კასპში ყვავილების შეძენა მხოლოდ ერთ პატარა ჯიხურში და საკოლმეურნეო ბაზარში იყო შესაძლებელი. დიდი არჩევანის საშუალებაც არ იყო. ბაზრის მოკვლევის შემდეგ გადავწყვიტე, დამეწყო ეს საქმიანობა. ყვავილების მაღაზიას მალევე სხვა სერვისებიც დავამატე. ქორწილების გაფორმება და დიზაინი, ასევე ფოტო-ვიდეო გადაღება, ეს სერვისებიც სიახლე იყო იმ დროს კასპში.

– როგორც ვიცით წლებია ახალგაზრდებთან მუშაობ, რატომაა საჭირო სკოლის ასაკიდანვე ვასწავლოთ ადამიანებს მაგალითად, გარემოს დაცვა, სხვადასხვა ტექნოლოგიების გამოყენება, ვასწავლოთ აქტიური ცხოვრება და თავადვე ჩავრთოთ ამ ასაკიდან საზოგადოებრივ ცხოვრებაში?

– ორგანიზაციამ CENN მომცა ახალგაზრდებთან მუშაობის შესაძლებლობა. ვცდილობთ, მათ ბუნება შევაყვაროთ და დააფასონ მისი სარგებელი. ჩამოუყალიბდეთ ეკო-მეგობრული ცნობიერება. ასეთი მიდგომებით ჩვენ მივიღებთ მომავალში თაობას, რომელიც ბუნებრივი რესურსების სწორ მართვას შესძლებს.

ახალგაზრდების ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და არაფორმალური განათლების მიღება ვფიქრობ მნიშვნელოვანია, მათ ვაძლევთ პოტენციალს აღმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და უნარები იმ სფეროში, სადაც მომავალში წარმატებულები იქნებიან. ასეთი ახალგაზრდები კი ძლიერი ქვეყნის საწინდარია. საამაყოა ჩემთვის ის ფაქტი, ჩვენმა ახალგაზრდებმა სოციალური და მწვანე მეწარმეობის ტრენიგ-მოდულების გავლის შემდეგ, მწვანე კომპონენტში, ბიზნეს საქმიანობები რომ წამოიწყეს.

ორგანიზაციის CENN ერთ-ერთი პროექტის, „საზღვრისპირა რეგიონებში სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარება (SEED) მწვანე ზრდისთვის“ ფარგლებში, გორში გავხსენით ინოვაციური ცოდნის ჰაბი, რომელიც ხელმისაწვდომია შიდა ქართლში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის და მიზნად ისახავს ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების გაძლიერებას და მათი სოციალური და მწვანე მეწარმეობის მიმართულებით განვითარების ხელშეწყობას.

– აქტიურად ხარ ჩართული ასევე საარჩევნო პროცესების მონიტორინგშიც, პარალელურად ხარ დედა, ამდენ საქმეს როგორ უთავსებ ერთმანეთს, რა თვისებები და უნარებია საჭირო რომ ქალმა ამ ყველაფერს წარმატებით გაართვას თავი?

– 2009 წლიდან, სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ISFED წარმომადგენელი ვარ კასპის მუნიციპალიტეტში. ჩვენ არა მარტო საარჩევნო პროცესებს ვაკვირდებით, არამედ არჩევნების გზით მიღებული მანდატების მფლობელებსაც, რომლებმაც გარკვეულ დაპირებები გასცეს წინა საარჩევნოდ. ამავდროულად, ვახორციელებთ პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობს დემოკრატიის განვითარებას საქართველოში. არაერთი სასიკეთო პროექტი განვახორციელეთ თემში სამოქალაქო სექტორის გასაძლიერებლად.

რაც შეეხება იმ საკითხს თუ როგორ ვუთავსებ ამდენ საქმეს ერთმანეთს, ვიტყვი, რომ მთავარია სწორი დროის მენეჯმენტის შემუშავება, შრომისმოყვარეობა და საქმისადმი ერთგულება. ვფიქრობ, ასეთი ცხოვრების რითმი, მოდუნების საშუალებას არ მაძლევს და ცხოვრებაც უფრო საინტერესო ხდება.

– როგორც ქალს, რა ბარიერები შეგხვედრია საქმიანობის პროცესში, რა სტერეოტიპები გსმენია შენს მიმართ ნათქვამი, როგორ ფიქრობ აქტიური ქალის ცხოვრება დღესაც მიუღებელია საზოგადოების ნაწილისთვის?

პირადად ჩემი საქმიანობები ისეთი სფეროებს მოიცავს, სადაც ქალებიც არიან დასაქმებულები და კაცებიც. თუმცა, წლების წინ ნათესავისაგან მქონდა შემოთავაზება ისეთ ბიზნესზე, რომელსაც დღეს საქართველოში მარტო კაცები მართავენ და საკმაოდ შემოსავლიანია. მაშინ უარი ვთქვი, მხოლოდ იმ მოტივით, რომ ქალი ვიყავი. დღეს კი ვფიქრობ, დიდი შეცდომა დავუშვი. ჩვენს მენტალობაში კიდევ არის შემორჩენილი სტერეოტიპული აზროვნება, გვინდა თუ არ გვინდა. ამ საკითხებს მომავალი თაობა აუცილებლად გადაჭრის.

– რას ეტყოდი ახალგაზდა დედებს, რატომაა მნიშვნელოვანი ქალი არ შემოიფარგლოს მხოლოდ სამზარეულოთი, შვილების გაზრდით და სახლის საქმიანობით?

– ქალს ძლიერი ნებისყოფა და დიდი ენერგია ნამდვილად სჭირდება, რომ პროფესიულ ასპარესზეც და ოჯახშიც სათანადოდ რეალიზდეს. ახალგაზრდა დედებს სწორედ ამის შიში აქვთ და არჩევანს მშვიდ ცხოვრებაზე აკეთებენ. შვილებს წარმატებული დედები სურთ რომ ყავდეთ, თუმცა ამ ფაქტორზე არ ფიქრობენ. ბევრი დედა თვლის, გაზრდის შვილებს და მერე დაიწყებს მიღებული პროფესიით მუშაობას, ამ შემთხვევაშიც შეცდომას უშვებენ, რადგან ეს პროცესი ისე უგრძელდებათ მათი ცოდნა დისკვალიფიკაციას განიცდის, დამსაქმებლის ინტერესი კი მათ მიმართ ქვეითდება. ჩემი მოსაზრებით, იმ ბავშვებს, რომლებსაც დედები მხოლოდ დიასახლისები ჰყავთ, დედაზე დამოკიდებულები ხდებიან. მშობელზე დამოკიდებულ ბავშებს კი უძნელდება ცხოვრების ასპარესზე გამოსვლის დროს დამოუკიდებლად თვითრეალიზება.

დედებო! ჩვენი შვილების კეთილდღეობისთვის უნდა შევძლოთ ვიყოთ პროდუქტიულები, როგორც ოჯახში, ასევე საზოგადობრივ საქმიანობაში.

ესაუბრა ნინო ჩიბჩიური

ჩვენი გაზეთი

არ ვიცი, რომ რომელიმე მიმართულების პრესას იმდენი ამბავი გამოეწვიოს საზოგადოებაში, როგორიც ჩვენმა გაზეთმა: „ხმა ქართველის ქალისამ“ გამოიწვია. მრავალი სხვადასხვა აზრები ტრიალებს ამ გაზეთის შესახებ.

1) ზოგი ამბობს: – გაზეთი უპარტიო არ უნდა იყოს, ეხლა უპარტიობა არ შეიძლებაო.

2) ზოგი: – რა საჭირო იყო ქალებისაგან ცალკე გაზეთის დაარსება, განა გაზეთები ცოტაა, სადაც შეგიძლიათ მონაწილეობის მიღება, ქალებსაცო; ზოგი – დაიქცა ბატონო ოჯახი, ქალები გაზეთებსა და კლუბებს უნდებიან და სახლ-კარისათვის ვისღა სცალიან.

3) ზოგს კიდევ ქალების სინაზისა და მომხიბვლელობის დაკარგვის ეშინია, გაზეთებისა და კლუბების მეოხებით!

ყველა ამას ამბობენ საუბედუროდ არა მარტო შეუგნებელნი, არამედ განათლებულებს რომ უწოდებენ თავის თავს ისეთებიც! ამას ამბობენ არა მარტო ზოგიერთი მამაკაცები –, ჰოი საკვირველებავ, – ქალებიც კი! ყველა ამ ცნობის მოყვარე სხვა და სხვა. კატეგორიის ხალხს ჩვენ ცალ-ცალკე პასუხს მივცემთ ერთხელ და სამუდამოდ. პირველს – ქალების გაზეთი უნდა იყოს სწორედ უპარტიო, როგორც არის დღეს ის, იმიტომ რომ ყოველ ქალს, რა წრესაც უნდა ეკუთვნოდეს იგი აქვს თავისი განსაკუთრებული ტკივილი – ქალთა საკითხი, რომლის გარშემო უნდა შემოკრიბენ ყველა ქალები განურჩევლათ პოლიტიკური რწმენისა. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ამ გაზეთის თანამშრომლებს არ ჰქონდეს თავისი განსაზღვრული პოლიტიკური მსოფლმხედველობა!.. მეორეს – სწორედ საჭირო იყო ქალებისგან ცალკე გაზეთის დაარსება, რომ მეტის ინტერესით მოეკიდონ თავის საქმეს ქალებმა სწერონ განსაკუთრებით თავიანთ ჭირ-ვარამზე. ქალთა საკითხი ისე როგორც მუშათა საკითხი, – ცალკე წამოაყენა ცხოვრებამ, და თუ კი ამ უკანასკნელისათვის აუარებელი ჟურნალ გაზეთები არსებობს, რა მოხდა რომ პირველისათვის ერთი გაზეთი არსებობდეს?! რად მიაჩნიათ ეს გასაკვირველად ზოგიერთებს?! განა ქალების გაზეთი, როგორც მას უწოდებენ, – იმას ნიშნავს, რომ შიგ მამაკაცებმა მონაწილეობა არ მიიღონ? პირიქით, ჩვენ მოხარული ვიქნებით, თუ მამაკაცები იდეურ დახმარებას გაგვიწევენ.

მესამეს – არა, ბატონებო, ქალების კლუბებისა და გაზეთების დაარსებით ოჯახი კი არ დაიქცევა – აშენდება: შეგნებული ქალი უფრო კარგად, გონივრულად მოუვლის ოჯახს, ვიდრე შეუგნებელ – უვიცი; შეგნებული ქალი უფრო კარგ აღზრდა განათლებას მისცემს შვილებს, ვიდრე შეუგნებელ-უვიცი; შეგნებული ქალი უფრო გრძნობიერად-გონივრად მოეპყრობა თავის ქმარს, უფრო გაიგებს მის ტკივილებს, ვიდრე შეგნებული უვიცი!... ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა იცხოვროს ყოველ მხრივად გონება განვითარებულმა მამაკაცმა ერთ ჭერ ქვეშ გონება დახშულ ბნელ ქალთან? როგორ უნდა ამოირჩიოს ასეთი ქალი ცხოვრების ამხანაგად და არ სცდილობდეს მის გონებრივ განვითარებას. რომელიმე სასწავლებელში კურსის დამთავრება კიდევ არ ნიშნავს ყოველ მხრივ გონებით განვითარებას: მარტო მშრალი სასწავლო წიგნები ბევრ არას აძლევენ ადამიანს!

მეოთხეს – ქალი სინაზესა და მომხიბლელობას ეს ბუნებრივი თანდაყოლილი თვისება არ იკარგება გონებრივ განვითარების მიღებით. ბუნებრივობას მასში ვერ მოსპობს ვერავითარი ძალა! არც კაცებიდან გამოყოფას ნიშნავს ქალების მიერ გაზეთებისა და კლუბების დაარსება, არამედ მათი საშვალებით ამაღლებას მამაკაცების გონებამდე. დასასრულ, ვიტყვით, რომ ეს

დაუსრულებელი მითქმა-მოთქმა ქალების შესახებ იმის მიზეზია რომ საზოგადოების ფართო ნაწილი ჯერ კიდევ მოუმწიფებელია, ვიწროა მისი აზროვნების ჰორიზონტი და ვერ შესჩვეევია, ვერ წარმოუდგენია ქალის აქტიური გამოსვლა ცხოვრების ასპარეზზე. ქალი ქალათ (?) უნდა „იყოს იმუშაოს ოჯახში და საზოგადოებაში მ. კაცებთან ერთად, რომელიც იზრუნებენ მისთვისაც“-ო, ამბობს მისი ლოღიკა, ჩვენ კი ამაზე ვპასუხებთ მწერლის ბრძნული სიტყვებით: „Тому, кто сам молчит, и эхо не ответит“.

ნინო ნადირაძე
1917 წელი №7

გაზეთი გამოიცემა „ქართული მედია ჯგუფის“ პროექტის („ხმა ქართველი ქალისა“ – ფემინისტური მედია შიდა ქართლში") ფარგლებში, რომელიც მხარდაჭერილია "ქალთა ფონდის" მიერ

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA